

**სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ
2011 წლის 10 ნოემბერს განხილულ საქმეთა მოკლე მიმოხილვა**

• პლათეი საფრანგეთის წინააღმდეგ – განაცხადი №48337/09

აპლიკანტი კეისი პლათეი საფრანგეთის მოქალაქეა, დაიბადა 1987 წელს. 2005 წლის ივლისში იგი გადაიყვანეს ციხეში სხვადასხვა დანაშაულის გამო სასჯელის მოსახდელად. მისი საკნის ჩხრეკისას ციხის თანამშრომელთან მოუვიდა ჩხუბი, რადგან აღმოუჩინეს მობილური ტელეფონი. ამ ფაქტის გამო იგი წარდგა ციხის დისციპლინარული ორგანოს წინაშე, რომლის გადაწყვეტილებით განმცხადებელი მოათავსეს სპეციალურ საკანში 45 დღით. კონვენციის მე-6 მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელი აცხადებს, რომ ციხის დისციპლინარული ორგანო მოქმედებდა სახელმწიფოს სახელით, არც პროკურორი და არც მოსამართლე არ იყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი. შემდგომში იგი ჩიოდა, რომ დისციპლინარულ საკანში მისი მოთავსებისას დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი იქ არსებული პირობების გამო. და ბოლოს, განმცხადებელი მიუთითებს კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევაზე მე-3 მუხლთან მიმართებაში, რადგან მას არ მიეცა საშუალება გაესაჩივრებინა დისციპლინარული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი და კონვენციის მე-13 მუხლი. სახელმწიფოს დაეკისრა 9000 ევროს გადახდა განმცხადებლის სასარგებლოდ.

• მოკალაღი უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №19246/10

აპლიკანტი აბუღფაზ აბას მოკალაღი ირანის მოქალაქეა, დაიბადა 1971 წელს და ცხოვრობს ოდესაში (უკრაინა). ის უკრაინაში ცხოვრობს და მუშაობს 1995 წლიდან. მას ჰყავს ცოლი და ხუთი მცირეწლოვანი შვილი, რომლებიც ყველა უკრაინის მოქალაქენი არიან. კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ 2010 წლის 3 აპრილსა და 14 ივლისს იგი უკანონოდ დააკავეს ირანში ექსტრადირებისათვის, სადაც მის მიმართ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე გაფლანგვის გამო. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ უკრაინაში არ არსებობდა კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებდა ექსტრადირებამდე დაკავებას, მიუხედავად იმისა, რომ კიევში მდებარე ირანის საელჩომ 2010 წლის 12 ივლისს უკრაინის ხელისუფლებას აცნობა, რომ აღარ იყო მისი ექსტრადირების აუცილებლობა და ფაქტიურად, ორი დღის შემდეგ გაათავისუფლეს. გაათავისუფლების შემდეგ აპლიკანტი კვლავ აგრძელებს უკრაინაში ცხოვრებას, სადაც მას უარი ეთქვა ლტოლვილის სტატუსის მიღებაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი. რაც შეეხება სამართლებრივ დაკმაყოფილებას, განმცხადებლის მხრიდან ეს მოთხოვნა არ დაყენებულა.

ანალოგი საქმეები

- *ოტავა ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*

საქმე ეხება რესტიტუციის შესახებ არსებული პროცესის გაჭიანურებასა და უკანონოდ წარმართვას, რომელიც აპლიკანტის მიმართ იყო აღძრული და ასევე მის მიერ საკუთრების თავისუფლად სარგებლობის უფლების სავარაუდო დარღვევას. კონვენციის პირველი ოქმის I მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ იგი კანონიერად ფლობდა საკუთრებას, რომელიც ჩამოერთვა ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე. 2010 წლის 27 მაისს სასამართლომ დაადგინა, რომდაირღვა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლი და თავის მხრივ დაიტოვა უფლება კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენების თაობაზე, რომელიც სამართლიან დაკმაყოფილებას ეხება.

მხარეთა შორის საქმის მორიგებით დამთავრების შემდეგ სასამართლომ გადაწყვიტა, რომ საქმე ამოღებულ იქნეს საქმეთა სიიდან.

გაჭიანურებული საქმეები

- *ლარიონოვი უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №30741/08*
- *სვერჩკოვი და სვერჩკოვა უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №55865/07*

წარმოდგენილ საქმეებზე სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი სამოქალაქო საქმეების გაჭიანურებით განხილვის გამო.

- *კაიუდა უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №31467/06*

აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი სისხლის სამართლის საქმის გაჭიანურებით განხილვის გამო.